საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4468
16/08/2022

4468-21-2-202208161252

შპს „გალონის"
მის: ქ. თბილისი, შანდორ პეტეფის ქ. №34
ელ. ფოსტა: gigachoko@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 26 ივლისის №3552 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქ. №34-ში ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, არსებული ავტოგასამართი სადგური წარმოადგენდა შპს „გუმანის" საკუთრებას და იგი ფუნქციონირებდა 2012 წლიდან. 2022 წლის 3 ივნისიდან იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, საწარმო გადაეცა შპს „გალონის", რომელიც გეგმავს სარეალიზაციო საწვავის ასორტიმენტის გაზრდას და 48.790 $м^3$ მოცულობის მქონე არსებული რეზერვუარის გაყოფას ორი თანაბარი მოცულობის ნაწილად. ობიექტზე რეზერვუარ(ებ)ის საერთო მოცულობა რჩება უცვლელი.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 48-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, **2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული, ამ კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობები, რომლებიც არ მოიცავს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობებს, არ საჭიროებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საქმიანობებზე ვრცელდება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **წარმოდგენილი საქმიანობა არ საჭიროებს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას**.

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა / QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო